



**სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის**

ბრძანება № 143

ქ. თბილისი

17 თებერვალი 2017წ.

**ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსის
ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის მოხსნის შესახებ**

“ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 ვნისის N74 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/წ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2017 წლის 12 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (N1251069) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადი:

პროექტის შიფრი FR17_30, პროექტის სათაური: „საქართველოს პენტატომიდები, აგრარული მავნებლები და მათი ბიოკონტროლის პოტენციალი“.

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.


3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე


შემსრულებელი:

იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე

-----  ----- /მარიამ იაშვილი/

შეთანხმებულია:


1. იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

-----  ----- /ეკატერინე ბუთლიაშვილი/

2. სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის
დეპარტამენტის უფროსი

-----  ----- /ეკატერინე კლდიაშვილი/

3. გენერალური დირექტორის მოადგილე

-----  ----- /ნინო გაჩეჩილაძე/